ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
შპს ნიუტონის თავისუფალი სკოლის მიერ ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები **თავმჯდომარე:** ლელა ჯაში **წევრ(ებ)ი:** გიორგი ნებიერიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☒ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს ნიუტონის თავისუფალი სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	216313727

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N30
საფოსტო ინდექსი	0186
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://newton.edu.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	info@newton.edu.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	570 705090; 570 705080

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 29 მაისის MES 7 25

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	0000590164 ბრძანება ,,შპს ნიუტონის თავისუფალი სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ,,
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	30 მაისი, 2025წ.

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მშობლის განცხადება და შეფასების პროცედურა:

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შპს ნიუტონის თავისუფალი სკოლის მე-6 კლასის მოსწავლის მშობლის მიერ 2025 წლის 23 მაისს წარდგენილი N571519 განცხადების საფუძველზე, განხორციელდა დაწესებულების არაგეგმური მონიტორინგი, რაც გულისხმობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებას.

როგორც მშობლის განცხადებიდან ირკვევა, მისი შვილი სისტემატურად ხდებოდა თანაკლასელების მხრიდან ბულინგის მსხვერპლი, რაც არსებითად არღვევდა მოსწავლის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას და ვერ უზრუნველყოფდა ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას.

განმცხადებლის ინფორმაციით, მან არაერთხელ მიმართა სკოლის ადმინისტრაციას შესაბამისი რეაგირების თხოვნით. მიუხედავად ამისა, მისივე შეფასებით, სკოლამ ვერ უზრუნველყო ადეკვატური ზომების გატარება პრობლემის მოსაგვარებლად. შედეგად, მოსწავლის მიმართ ბულინგის შემთხვევები კვლავაც გაგრძელდა და შეიქმნა მისთვის საფრთხისშემცველი სასწავლო გარემო.

მშობლის თქმით, მოსწავლის გაუარესებულმა ფსიქო-ემოციურმა მდგომარეობამ და სტრესულმა გარემომ გამოიწვია საგაკვეთილო პროცესის გაცდენა (დაზუსტებით, ექსპერტების ვიზიტი განხორციელდა დაწესებულებაში 30 მაისს. მოსწავლე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბოლოს სკოლაში იმყოფებოდა 23 მაისს). არსებული ვითარების გათვალისწინებით, მშობელი იძულებული გახდა განეხილა ბავშვის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადაყვანის შესაძლებლობა.

განმცხადებელი ითხოვს საკითხის საგნობრივ განხილვას და შესაბამისი ზომების გატარებას, რაც უზრუნველყოფს ბავშვის უფლების დაცვას უსაფრთხო და მხარდამჭერ საგანმანათლებლო გარემოში ყოფნისთვის.

როგორც უკვე აღინიშნა, საკითხის შესასწავლად სკოლაში იმყოფებოდნენ სფეროს შესაბამისი ექსპერტები, რომელთა ვიზიტი ერთ სამუშაო დღეს მოიცავდა (30.05.2025წ.). ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტებმა განახორციელეს კონკრეტული აქტივობები, რომლებიც მოიცავდა ინტერვიუებს ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, მოსწავლის ტუტორებთან (სხვადასხვა სასწავლო ეტაპზე მოსწავლეს ორი ტუტორი ჰყავდა), ფსიქოლოგებთან და მშობლებთან. ასევე, მათ მიეცათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ სკოლის შიდა გარემოს სპეციფიკას, დოკუმენტაციას და ზოგად, ორგანიზაციულ მდგომარეობას/კულტურას.

ვიზიტის ხანმოკლე ხასიათის მიუხედავად, ექსპერტებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს იმ გარემოებების შესწავლას, რომლებიც უკავშირდებოდა მოსწავლეთა ფსიქოლოგიური და ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. მათ მიერ განხილულ იქნა ფსიქოლოგიური კლიმატის გავლენა ბავშვების საერთო კეთილდღეობასა და სკოლის სივრცეში უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებაზე. ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ ფსიქოლოგიური უსაფრთხოება წარმოადგენს სასკოლო გარემოს განუყოფელ კომპონენტს და მჭიდროდ არის დაკავშირებული მოსწავლეთა ფიზიკური უსაფრთხოებისა და განვითარების გარანტიებთან.

დამატებით, სკოლის ადმინისტრაციამ ექსპერტებს წარუდგინა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია და სხვა სამართლებრივი თუ პროცედურული მასალები, რომლებიც უშუალოდ ან ირიბად უკავშირდებოდა განხილულ საკითხს. ეს დოკუმენტაცია ინტეგრირებულ იქნა შეფასების პროცესში და დაეხმარა ექსპერტებს სკოლაში არსებული პოლიტიკის, პრევენციული მექანიზმების და რეაგირების პრაქტიკის უფრო ღრმა გაანალიზებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა მიერ განხორციელებული შეფასების ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სკოლის შესაბამისობის განსაზღვრას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის დადგენილ მესამე და მეოთხე სტანდარტების შერჩეულ ინდიკატორებთან. შეფასება მიზნად ისახავდა იმის გარკვევას, თუ რამდენად შეესაბამება სკოლის საქმიანობა ამ სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და უზრუნველყოფდა თუ არა დაწესებულება მოსწავლეთა საგანმანათლებლო, სოციალური და ფსიქო-ემოციური საჭიროებების ადეკვატურ დაკმაყოფილებას.

შეფასების შედეგები:

როგორც გაირკვა, მშობლის (განმცხადებელი) ჩართულობა მოსწავლის სასკოლო გარემოში გამოირჩეოდა განსაკუთრებული აქტივობით, რაც ინტენსიურად შეინიშნებოდა IV და V კლასების პერიოდიდან.

გარკვეული უთანხმოება წარმოიშვა ფიზიკური აღზრდის (ფეხბურთის) გაკვეთილებთან დაკავშირებით. მშობელი გამოხატავდა უკმაყოფილებას, რომ მოსწავლეს არ ეძლეოდა შესაძლებლობა ეთამაშა მისთვის სასურველ პოზიციაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, სკოლამ დროებით შეიტანა ცვლილება და ორი კვირის განმავლობაში სპორტის ეს სახეობა ჩანაცვლებული იყო ალტერნატიული აქტივობით, განხორციელდა გასაუბრება მოსწავლესთან და მის მშობელთან - მიუხედავად მცდელობისა, ამან შედეგი ვერ გამოიღო.

2024–2025 სასწავლო წელსაც დაფიქსირდა მშობლის მხრიდან რამდენიმე მიმართვა. ყველა შემთხვევაში, აღნიშნული ჩარევა სკოლის პერსონალის მხრიდან შეფასებული იყო როგორც არასათანადოდ დაბალანსებული და შეუსაბამო კონსტრუქციული კომუნიკაციის სტანდარტებთან.

მოსწავლის თანატოლებთან ურთიერთობის ეპიზოდი (მიმდინარე სასწავლო წელი) და შედეგად შექმნილი გარემო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეგროვებული ინფორმაციის დამუშავების საფუძველზე გაირკვა, რომ მოსწავლეს ერთ-ერთ თანაკლასელთან, რომელიც კლასში ლიდერად აღიქმებოდა, ჰქონდა დაძაბული ურთიერთობა. მხარეებს შორის კომუნიკაცია არ იყო პოზიტიური და პერიოდულად ფიქსირდებოდა კონფლიქტური ეპიზოდები.

უთანხმოება გამოკვეთილად გამოიხატა ერთ-ერთი დასვენების დროს, როდესაც მოსწავლის თანაკლასელმა უცხოურენოვანი წარწერა გააკეთა მის პირად ნივთზე (სასწავლო რესურსი), რაც მოსწავლემ აღიქვა როგორც არაკეთილგანწყობილი მიმართვა. აღნიშნული ჩანაწერი მოხვდა კლასის ერთ-ერთ საკომუნიკაციო არხში, რამაც გააღრმავა ემოციური რეაქცია როგორც მოსწავლის, ასევე, მშობლის მხრიდან.

მშობელმა (განმცხადებელი) აღნიშნულ ქმედებაზე მყისიერი და მწვავე რეაგირება დააფიქსირა, რასაც მოჰყვა გარკვეული დაძაბულობა სკოლის, მოსწავლისა და მშობლის ურთიერთობაში. სიტუაციის გაღრმავებას ხელი შეუწყო კომუნიკაციის გაუმჭვირვალობამ და ინფორმაციის სწრაფად გავრცელებამ ჯგუფურ საუბრებში, რაც უარყოფითად აისახა მოსწავლის ემოციურ მდგომარეობაზე და კლასში არსებულ ზოგად ატმოსფეროზე.

ინციდენტის შემდგომ სკოლამ სცადა მშობელთან კომუნიკაციის დამყარება და სიტუაციის შიდა რესურსებით მართვა, თუმცა ემოციური დაძაბულობის გამო ეფექტური კავშირი ვერ განხორციელდა. საქმეში ჩაერთო მოსწავლის ტუტორი, რომელმაც სცადა მხარეთა ურთიერთობის დაბალანსება.

ინტერვიუების საფუძველზე შეგროვებული ინფორმაცია ჩართულ მხარეებთან (სკოლის მენეჯმენტი, ტუტორები, ფსიქოლოგები, მოსწავლეთა მშობლები), მათი მუშაობის სპეციფიკა

სკოლის დირექტორმა ექსპერტებთან საუბრისას მიმოიხილა საგანმანათლებლო დაწესებულების მუშაობის ზოგადი სპეციფიკა, ყურადღება გაამახვილა სკოლაში ჩამოყალიბებულ ორგანიზაციულ კულტურაზე და მართვის პრინციპებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დირექტორის განმარტებით, სკოლის მენეჯმენტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს თანამშრომელთა რეგულარული ანგარიშგების მექანიზმი: ყოველკვირეულად, კვირის ბოლოს, თანამშრომლები ადგენენ მუშაობის შემაჯამებელ რეპორტებს, რომლებიც იგზავნება ადმინისტრაციაში. ანგარიშები სისტემატურად განიხილება დირექტორის მიერ, რაც აძლიერებს შიდა მონიტორინგის მექანიზმებს და უზრუნველყოფს პროცესების გაუმჯობესებას. დამკვიდრებული პრაქტიკა ეხმარება სკოლას გამოავლინოს გამოწვევები, გაუზიაროს თანამშრომლებს უკუკავშირი და გააძლიეროს პროფესიული პასუხისმგებლობა გუნდურ დონეზე.

აღსანიშნავია, რომ სკოლის დირექტორს ჰქონდა ინფორმაცია მოსწავლესთან დაკავშირებულ ინციდენტთან დაკავშირებით. შეხვედრის დროს იგი არ შეეხო საკითხის კონკრეტულ დეტალებს და რეკომენდაციით მიმართა ექსპერტებს - ინფორმაციისთვის მიემართათ კლასის ტუტორისა და სკოლის ფსიქოლოგისათვის — როგორც იმ პროფესიული რგოლებისთვის, რომლებიც უშუალოდ იყვნენ ჩართული პროცესში.

ტუტორებთან გამართული ინტერვიუების საფუძველზე განმცხადებლის შვილი დახასიათდა როგორც მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე, ნიჭიერ და ინტელექტუალურ მოსწავლედ. მათი თქმით, იგი გამოირჩევა ანალიტიკური აზროვნებით და საგაკვეთილო პროცესში აქტიური მონაწილეობით.

ამასთან ერთად, ტუტორებმა აღწერეს რამოდენიმე დაძაბული ინციდენტი მშობელთან, მათ შორის შემთხვევა, რომელიც უკავშირდებოდა კლასის შიდა არაფორმალურ აქტივობას. კერძოდ, ღონისძიების ფარგლებში მოსწავლეებს შორის იგეგმებოდა სიურპრიზების გაცვლა (ე.წ. ,,Secret Santa“), როგორც მეგობრული და ჯგუფური ინტეგრაციის ხელშემწყობი აქტივობა. აღნიშნულ პროცესში ერთ-ერთი მოსწავლის ემოციურმა რეაქციამ, რომელიც მის შვილს უკავშირდებოდა, მშობლის (განმცხადებელი) მხრიდან გამოიწვია უკმაყოფილება. სწორედ ამ ფაქტის შემდეგ იგი გამოცხადდა სკოლაში. მან მიმართა ტუტორს, რომლის შეფასებით, კომუნიკაცია გამოირჩეოდა მწვავე ტონით მშობლის მხრიდან და არ შეესაბამებოდა სკოლის და მშობლის თანამშრომლობის სტანდარტებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის ფსიქოლოგებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ მოსწავლეს არ ჰქონია ინდივიდუალური კონსულტაცია მათთან. არსებული პრაქტიკის შესაბამისად, დაწესებულებამ მოსწავლის ემოციური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და სტრესის შესამცირებლად შესთავაზა საკუთარი ფსიქოსოციალური მხარდაჭერა, ასევე, ფსიქოლოგის მომსახურება სსიპ საგანმანათლებლო მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენრისგან. მიუხედავად შეთავაზებული ალტერნატივებისა, მშობელმა უარი განაცხადა სკოლის მომსახურებაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება, სავარაუდოდ, უკავშირდება მშობლის მიერ გაზიარებულ ინფორმაციას, რომ მოსწავლე არ საჭიროებდა მათ დახმარებას, ვინაიდან მას ინდივიდუალ მხარდაჭერას უწევდა პირადი ფსიქოლოგი, სკოლის გარეთ.

ამ გარემოებამ გარკვეულწილად შეამცირა სკოლის შესაძლებლობა, ფსიქოსოციალური ჩარევა განეხორციელებინა მოსწავლეზე სკოლის ფარგლებში და დაეგეგმა მასზე მორგებული ინტერვენციები.

ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა სკოლის ფსიქოლოგიური მხარდაჭერის მიმართულებით განხორციელებული საქმიანობა და შესაბამისი დოკუმენტაცია. განხილულ იქნა ფსიქოლოგის შრომითი ხელშეკრულების ნიმუში (4.2.5. პუნქტი), რომელიც მოიცავს ინფორმაციას სკოლის ფსიქოლოგის უფლება მოვალეობების შესახებ - ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია და ითვალისწინებს მის მონაწილეობას მოსწავლეთა ემოციურ და ქცევით პრობლემების გადაჭრის პროცესში, საჭიროების შემთხვევაში, იკვლევს მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებებს და გეგმავს შესაბამის პროცესებს და ა.შ. როგორც ფსიქოლოგებთან საუბრისას გამოიკვეთა, ისინი იცნობენ თავიანთ ფუნქციებს და მოქმედებენ შესაბამისად;

ექსპერტებმა შეხვედრისას შეკითხვით მიმართეს სკოლის ფსიქოლოგს, თუ რა ფორმით ხდებოდა იმ მოსწავლეების იდენტიფიცირება, რომელთაც შესაძლოა სჭირდებოდათ ფსიქოლოგის დახმარება, განსაკუთრებით მაშინ, როცა უშუალო დაკვირვება ან პროფესიული შეფასება ჯერ არ განხორციელებულა. ასევე დაისვა საკითხი იმის თაობაზე, თუ როგორ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონაწილეობს ამ პროცესში კლასის ტუტორი, რომლის კომპეტენცია შესაძლოა არ იყოს საკმარისი მოსწავლის ფსიქოლოგიური მდგომარეობის სიღრმისეულად შესაფასებლად.

ფსიქოლოგის განმარტებით, სკოლაში დანერგილია სპეციალური პროცედურული მექანიზმი: ტუტორებისთვის არსებობს სტრუქტურირებული კითხვარები, რომლებიც შეიქმნა მოსწავლეთა შესაძლო ემოციური ან ქცევითი სირთულეების წინასწარი ამოცნობის მიზნით. აღნიშნულ კითხვარში ჩამოყალიბებულია გარკვეული ინდიკატორები და ნიშანთვისებები, რომლებიც შესაძლოა მიანიშნებდეს ფსიქოლოგიური მხარდაჭერის საჭიროებაზე.

ეს ინსტრუმენტი ტუტორებს საშუალებას აძლევს, დაკვირვების საფუძველზე განიხილონ კონკრეტული ქცევითი და ემოციური გამოვლინებები და საჭიროების შემთხვევაში, მიმართონ ფსიქოლოგს დამატებითი ჩარევისთვის. აღნიშნული პრაქტიკა განიხილება როგორც პრევენციული მიდგომის ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის კეთილდღეობაზე ზრუნვას და დროულ რეაგირებას მათ საჭიროებებზე.

სკოლაში მოქმედებს ფსიქოლოგიური მხარდაჭერის მრავალდონიანი სისტემა, რომელიც მოიცავს როგორც ინდივიდუალურ კონსულტაციებს, ისე პრევენციული ხასიათის ჯგუფურ აქტივობებს. ფსიქოლოგები რეგულარულად ხვდებიან მოსწავლეებს, ახორციელებენ თემატურ შეხვედრებს და ინტერვენციებს, რომლებიც მიმართულია მოზარდების ფსიქო-ემოციური კეთილდღეობისა და სოციალური უნარების განვითარებაზე.

აღსანიშნავია, რომ სკოლაში ტარდება ბულინგის წინააღმდეგ მიმართული საგანმანათლებლო კამპანიები, მათ შორის ბულინგის კვირეული, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება საინფორმაციო და ქცევითი ინტერვენციები მოსწავლეებისათვის,

გარდა ამისა, სკოლის ინფორმაციით, კურიკულუმის ფარგლებში გათვალისწინებულია ფსიქოლოგიური და ემოციური წონასწორობის მხარდამჭერი თემები. საგანმანათლებლო სივრცე მოიცავს ძალადობის პრევენციის, თანაგრძნობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განვითარებისა და კონფლიქტების მართვის საკითხებს, რაც ხელს უწყობს მოზარდების ინდივიდუალურ და კოლექტიურ პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული გარემოს ფორმირებას.

მშობელთა აღქმა სკოლის გარემოს და მასში მიმდინარე პროცესებზე - ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა მშობლების საერთო პოზიტიური დამოკიდებულება სკოლის კულტურის, პედაგოგიური მიდგომებისა და მხარდაჭერის მექანიზმების მიმართ. მათი მონათხრობი ასახავს გარემოს, რომელიც მოსწავლეთა კეთილდღეობაზეა ორიენტირებული და წაახალისებს ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენას.

მშობლები ხაზს უსვამენ, რომ სკოლაში დამკვიდრებულია მეგობრული, ემოციურად უსაფრთხო გარემო, სადაც მოსწავლეები თავს გრძნობენ კომფორტულად და დაცულად. მათივე თქმით, არსებული კულტურა ხელს უწყობს თანატოლთა შორის ურთიერთობების რეგულაციას და საჭიროების შემთხვევაში, სკოლა ეფექტურად რეაგირებს შესაძლო კონფლიქტურ ეპიზოდებზე. მშობლებმა აღნიშნეს, რომ არასასურველი ქცევითი შემთხვევები არსებობს დაწესებულებაში, თუმცა, ისინი განიხილება როგორც მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების ნაწილი და უმეტეს შემთხვევაში, ეფექტურად იმართება სკოლასა და ოჯახს შორის აქტიური თანამშრომლობის გზით.

ასევე აღინიშნა, რომ მასწავლებლები და ტუტორები ინდივიდუალურ ყურადღებას უთმობენ მოსწავლეებს, ცდილობენ გაითვალისწინონ მათი საჭიროებები და მოსაზრებები, რაც აძლიერებს მოსწავლეთა მოტივაციას და ჩართულობას. მშობელთა შეფასებით, ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სისტემა სკოლაში ეფექტურად ფუნქციონირებს და ფსიქოლოგები მნიშვნელოვანი როლს ასრულებენ მოსწავლეთა ემოციური საჭიროებების ამოცნობასა და რეგულაციაში.

დადებითად შეფასდა ასევე არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობების დაგეგმვაში მშობელთა მონაწილეობა. ერთ-ერთ მაგალითად მოყვანილ იქნა თემატური საგანმანათლებლო პროექტი, რომელიც განხორციელდა სკოლისა და მშობელთა ერთობლივი ინიციატივით, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს თანამშრომლობის ხარისხს და სკოლის ღიაობას პარტნიორული ურთიერთობებისადმი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რაც შეეხება სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციას - ექსპერტებმა განიხილეს: სკოლის შინაგანაწესი; დებულება; მედიაციის მარეგულირებელი წესი; მოსწავლეთა ადაპტაციის წესი; კლასის ემოციური ატმოსფერო შეფასების კითხვარი; მშობელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში; მშობელთან ურთიერთობის დებულება; ტუტორის სამუშაოს აღწერა; უსაფრთხოების პოლიტიკა; უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი (შეთანხმებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2021 წლის 21 იანვრის MES 1 21 0000016501 წერილის საფუძველზე); სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა N500934321, 19.02.2021წ., რომლის თანახმად, სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ასევე, „ნიუტონის თავისუფალი სკოლის" საგანგებო მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (წერილი MIA 3 22 02140944, 03.08.2022წ.), ექსპერტებმა ვიზიტის დროს დაათვალიერეს სკოლის ექიმის კაბინეტი და მისი აღჭურვილობა და დაადგინეს მისი შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან. ასევე, ფსიქოლოგთან მიმართვის ფორმა; ფსიქოლოგის აქტივობები 5-6-7 კლასისთვის; დისციპლინის მენეჯერის ხელშეკრულება; დისციპლინური გადაცდომის აღრიცხვის ოქმი; საჩივრის განხილვის კომისიის ბრძანება (N1/197 – 13 სექტემბერი 2024 წ.); საჩივრისა და განცხადების წარდგენის წესი; ტუტორის და ფსიქოლოგის ხელშეკრულებები.

აღნიშნული დოკუმენტების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ შპს „ნიუტონის თავისუფალი სკოლაში“ მოქმედებს მოსწავლეთა შორის მედიაციის მარეგულირებელი წესი, რომლის მიზანია კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარება. სკოლა აღიარებს, რომ მოსწავლეებს შორის შესაძლოა პერიოდულად წარმოიშვას უთანხმოება, თუმცა სწორედ ასეთ სიტუაციებში მნიშვნელოვანია დიალოგზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენება.

მედიაცია ითვალისწინებს მოსწავლეების, მათი მშობლების, კლასის ტუტორის, დისციპლინის სამსახურისა და, საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ფსიქოლოგის მონაწილეობას. კონფლიქტის წარმოშობისთანავე, ტუტორი იღებს მედიატორის როლს და ცდილობს შექმნას ისეთი გარემო, სადაც მოსწავლეები შეძლებენ ღიად და კონფლიქტის გარეშე გამოთქვან თავიანთი აზრები, დააფიქსირონ პოზიცია და, რაც მთავარია, ერთად იპოვონ გამოსავალი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს სკოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმს კონფლიქტების მართვის მიმართულებით და უზრუნველყოფს, ნებისმიერი უთანხმოება გადაიჭრას უსაფრთხო, სამართლიან და მოსწავლეზე ორიენტირებულ გარემოში.

დოკუმენტების შესწავლით და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგედ დგინდება, შპს ნიუტონის თავისუფალი სკოლა სრულად აცნობიერებს, რომ მოსწავლის აკადემიური და პიროვნული წარმატება დიდწილად დამოკიდებულია სკოლისა და ოჯახის თანამშრომლობაზე. სწორედ ამ მიზნით, სკოლაში შემუშავებულია მშობელთან ურთიერთობის დებულება, რომელიც ეფუძნება ნდობას, პატივისცემას და თანაბარ პასუხისმგებლობას.

აღნიშნული დებულების მიხედვით მასწავლებელი _ როგორც სკოლისა და ოჯახის დამაკავშირებელი რგოლი _ პირველი დგამს ნაბიჯს მშობელთან მტკიცე კომუნიკაციის დამყარებისკენ. მიზანი ერთია: ხელი შეუწყონ ბავშვის ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენას და მის განვითარებას ჰარმონიულ გარემოში.

დებულება აგრეთვე განსაზღვრავს როგორც სკოლის, ისე მშობლის უფლება-მოვალეობებს. სკოლა ვალდებულია მოსწავლისათვის უზრუნველყოს უსაფრთხო, კეთილგანწყობილი და განათლებაზე ორიენტირებული გარემო, ხოლო მშობელი _ აქტიურად უნდა თანამშრომლობდეს სკოლასთან.
კომუნიკაცია სკოლასა და მშობელს შორის მრავალარხიანია: მშობელთა კრებები, ინდივიდუალური შეხვედრები, ონლაინ კომუნიკაცია, ელ. ფოსტა, ტელეფონი, მოკლე ტექსტური შეტყობინება, ელექტრონული ჟურნალი და სოციალური ქსელების დახურული ჯგუფები. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლის პირადი აკადემიური ინფორმაცია დაცულია და მხოლოდ ინდივიდუალურად განიხილება შესაბამის პირებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ტუტორს და მასწავლებელს განსაკუთრებული როლი აკისრიათ მშობლებთან ურთიერთობაში. მათ ევალებათ მშობელს ინფორმაცია დროულად და მოფრთხილებით მიაწოდონ, ნებისმიერ პრობლემაზე საუბარი კი მოსწავლის ძლიერი მხარეების გამოკვეთით დაიწყონ.

მშობლის პასუხისმგებლობაა: სკოლის წესების დაცვა, შვილის აკადემიური ცხოვრების თვალყურის დევნება, საკონტაქტო ინფორმაციის განახლება, აკრძალული ნივთებისგან თავის შეკავება, და სკოლის აქტივობებში მონაწილეობა. სკოლაში ფუნქციონირებს მშობელთან ურთიერთობის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის გაცვლას.

დებულება ასევე ითვალისწინებს საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს, სადაც მშობლებს აწვდიან მნიშვნელოვან ცნობებს ისეთ თემებზე, როგორიცაა: ძალადობის პრევენცია, ბულინგი, ჯანსაღი ცხოვრების წესი, მშობლის როლი ბავშვის ცხოვრებაში, და სხვა აქტუალური საკითხები.

დასკვნა

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტების შეფასება ეფუძნება განცხადებაში აღწერილი ფაქტობრივი გარემოებების ირგვლივ სკოლის ადმინისტრაციასთან, თანამშრომლებთან და მშობლებთან ჩატარებულ ჩაღრმავებულ ინტერვიუებს, ასევე, დაწესებულების მიერ შედგენილ მარეგულირებელ დოკუმენტებს.

სწორედ მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ თანამშრომლობა სკოლასა და მშობელს შორის ვერ განხორციელდა იმ ფორმითა და ხარისხით, რაც საჭირო იყო პროცესების ეფექტური მართვისთვის - მიუხედავად სკოლის მხრიდან გამოვლენილი არაერთი მცდელობისა, მშობელსა და დაწესებულებას შორის ვერ შედგა მტკიცე და კონსტრუქციული კომუნიკაცია, რაც ექსპერტების მხრიდან ინციდენტის მართვის მთავარ შემზღუდველ ფაქტორად განიხილება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე

წინა ვიზიტის ფარგლებში (წარმოების ტიპი - ავტორიზაცია, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების თარიღი: 29.07.2021წ.) რეკომენდაციები არ გაცემულა.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
2000	1471

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

დაწესებულებამ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი: 25.06.2025წ.

ლელა ჯაში:

გიორგი ნებიერიძე:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: